საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№24/13

„23“ მარტი 2013 წ.

შ.პ.ს. ”შოთიკო”-ს დირექტორს
ქალბატონ ცირა კვაჭანტირაძეს.

შემოწმება ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, პეკინის გამზირი №31/31ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის უკანა ეზოს მხრიდან არსებულ მიშენებას, მის შესაძლო რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. არსებული საცხოვრებელი სახლი სავარაუდოდ აგებულია გასული საუკუნის 60-ან წლებში. იგი ხუთ სართულიანია (პეკინის ქუჩის მხრიდან პირველ სართულზე განთავსებულია არასაცხოვრებელი ფართობები). შენობა კონსტრუქციულად არასრული კარკასული ტიპისაა, გარე მზიდი კედლებითა და შიდა სივრცეში არსებული მონოლითური რკინაბეტონის სვეტებით. სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები. სახურავი ხის, ორ ქანობიან ნივნივებზე. ბურულის მასალა ფოლადის მოთუთიებული ფურცლები. მიშენებული ნაწილი გადაწყვეტილია ფოლადის კარკასული სისტემის სახით. საკვლევ ნაწილში კარკასის სვეტებად გამოყენებულია №20 პროფილის თაროებით შეწყვილებული შველერები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ფოლადის თამასებით. კარკასის ჰორიზონტალურ ელემენტებს შორის მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის ფილა.

შემოწმებით დადგინდა, რომ როგორც ძირითადი შენობა, ასევე მიშენებული კარკასული სისტემა იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში.

შ.პ.ს. ”შოთიკო”-ს დირექტორს, ქალბატონ ცირა კვაჭანტირაძეს, პირველ არასაცხოვრებელ სართულზე გააჩნია A=38მ² ფართობი, სადაც მოხვედრა შესაძლებელია პეკინის ქუჩის მხრიდან. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ”გამსახურდია 31”-ს საერთო კრების დადგენილებით, მას (იხილეთ კრების ოქმი №13-2. 17.03.2013წ.) მას მიეცა თანხმობა ჩაატაროს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ეზოს მხრიდან არსებული მიშენების ფართობისა (შიდა სუფთა ფართობით A=20.43მ²). ამ მიზნით შ.პ.ს. ”სითი ბილდინგი”-ს მიერ დამუშავებულია პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

ას

პროექტით განსაზღვრულია შემდეგი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება:

-”ა” ღერძიდან მარცხნივ 100სმ. მაძილზე უნდა მოეწყოს წვრილი ბლოკის 20სმ. სისქის კედელი. (იხ. პროექტის არქიტექტურული ნაწილი).

-”3” ღერძიდან 40სმ. მანძილზე ასევე უნდა მოეწყოს წვრილი ბლოკის 20სმ. სისქის კედელი. (იხ. პროექტის არქიტექტურული ნაწილი) ფანჯრისა და კარების ღიობებით.

- ”1” ღერძის გასწვრივ არსებული ძირითადი შენობის მზიდ კედელში არსებობს 130სმ. სიგანის ფანჯრის ღიობი. შ.პ.ს. ”შოთიკო”-ს დირექტორის, ქალბატონი ცირა კვაჭანტირაძის სურვილია ჩაიჭრას ფანჯრის რაფისქვეშა წყობა იატაკის ნიშნულამდე. ამასთან ერთად გაიზარდოს ღიობის სიგანე ”ბ”-დან ”ა” ღერძის მიმართულებით 60სმ.-ით, რის შედეგადაც რეკონსტრუირებული ღიობის ზომები იქნება b×h=190×250სმ.

საკითხის შესახებ შ.პ.ს. ”მონოლითი” გაცნობებთ, რომ პროეტის არქიტექტურული ნაწილით გათვალისწინებული ყველა სამუშაოს ჩატარება მიზანშეწონილია და შესაძლებლად მიგვაჩნია. ჩატარებული სამუშაოები არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ძირითად შენობაზე და მიშენებულ ფოლადის კარკასზე. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ”1” ღერძის გასწვრივ არსებული ძირითადი შენობის მზიდ კედელში მოწყობილი ახალი ღიობი, უნდა მოჩარჩოვდეს ფოლადის კუთხოვანებით კვეთით 125×8. კუთხოვანები ერთმანეთთან დაკავშირდეს ფოლადის თამასებით ზომებით -l×b×δ=530×80×10 ელექტროშედუღების საშუალებით. მონტაჟის შემდეგ ღიობის ალათები პერიმეტრზე შეილესოს მაღალი მარკის (M100) ცემენტ-ქვიშის ხსნარით.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

ას